გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №32

ქ. თბილისი **16 მაისი 2018 წელი**

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის, ,,ს'' პუნქტის საფუძველზე, დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი (სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამა).

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია" ს/კ 205339944 (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მამია ჯანჯალიას სახით და მეორეს შპს ოლპრინტჯი ს/კ 400044518 (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით სამუშიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **(CPV79823000 - ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება)** კერძოდ: 415 (ოთხასთხუთმეტი) ბრენდირებული კალამის შესყიდვა (კალამი ბურთულიანი თეთრი ფერის, ლურჯი მელანით, მეტალის, კალმის ზემოდან მართვით (მექანიკური), კალამზე დატანილი უნდა იყოს ლოგო და ორგანიზაციის სრული დასახელება, ერთ მხარეს ქართულად მეორე მხარეს ინგლისურად).

2.2 ბრენდირებული კალამის დამზადება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში, ხოლო ნიმუშის წარმოდგენა მოთხოვნიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში.

2.3. ხელშეკრულების 2.2. პუნქტში მითითებული ნიმუშის მოწოდება უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ, თუ წარმოდგენილი ნიმუში დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას ის ჩაითვლება მოსაწოდებელი საქონლის რაოდენობაში, იმ შემთხვევაში თუ ნიმუში ვერ დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისი ნიმუში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 581.00 ლარს (ხუთას ოთხმოცდა ერთი ლარი და 00 თეთრი) ლარს. ერთეულის ფასი - 1.40 (ერთი ლარი და 40 თეთრი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში, ლარში უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი, ა/ფ) გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტებზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის 1ა.

5.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია, წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 პუნქტის 7.2. პუნქტით გათვალისიწინებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის აქტი.

5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ ლოჯისტიკი იოსებ ჯოლოგუა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია: მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება და საქონელი, რომელმაც არ უნდა გამოავლინოს წუნი და დეფექტი,მოწოდებული საქონელზე ფერები უნდა იყოს მკვეთრი. ასეთის დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს იმავე პარამეტრების მქონე საქონლის ჩანაცვლება ახლით 2 სამუშაო დღის ვადაში, რაზედაც გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწინებული პირობები.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი ნინო ქიტიაშვილი.
7.3. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის მოცულობის - რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.
7.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
8.3.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე სანქციების გამოყენებას.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის

შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

9.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო- სამრეწველო პალატის მიერ.

9.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაგვიანებით განხორციელებული მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10.2. შემსწიდველი უფლებამოსულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 10.1 და 10.2 პუნქტებით გათვალისიწნებული პირობები ერთობლიობაში.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დროზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ მუხლის ამ მუხლის 10.1 და 10.2 პუნქტებით გათვალისიწნებული პირობები ერთობლიობაში.

10.5. დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველო სმოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (ს/ნ 205339944) მისამართი: თბილისი ფანჯიკიძის 1ა სახელმწიფო ხაზინა კოდი:TRESGE22	შპს ოლპრინტჯი ს/კ 400044518 მისამართი: ქ. თბილისი, სომხეთის ქ. 50 ბანკის დასახელება: პროკრედიტ ბანკი ბანკის კოდი: MIBGGE22 ა/ა GE54PC0043600100029559
დირექტორი	დირექტორი
_____ / შამია ჯანჯალია	_____ / დავით სამუშია

შეთანხმებულია და ვადასტურებთ ხელმოწერით, რომ მიმწოდებლის მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ დირექტორის მოადგილე ----------/**დავით გოგუაძე**

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ბუღალტერი ----------/**თამარ ხოსიშვილი**

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი----------/**ნინო ქიტიაშვილი**

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ლოჯისტიკი ----------/**იოსებ ჯოლოგუა**

შემსრულებელი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ იურისტი/შესყიდვები ----------/**ხათუნა ხაჩიძე**